The views expressed in this essay are those of the author and do not necessarily reflect the views of the United Nations Economic Commission for Europe, the Georgian Government or any Georgian authorities.

Eter Chkhaidze

ეთერ ჩხაიძე, 83 წლის, ქობულეთი

ეთერ ჩხაიძე დაიბადა ოზურგეთში 1931 წელს. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი. მას შემდეგ მუშაობდა ქობულეთის რაიონულ გაზეთში, 1964 წლიდან კი ამავე გაზეთის პასუხისმგებელ მდივნად. შემდეგ გაზეთ ,,აჭარა P.S.'' – ის მთავარ რედაქტორად. არის 3 შვილის დედა.

ეთერ ჩხაიძე თვლის, რომ ჟურნალისტის პროფესია უმნიშვნელოვანესია იმითაც, რომ ხვდება სხვადასხვა ინტერესის, ბედის, შეხედულებების ადამიანს. ხშირად ეს შეხვედრები წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს. ქალბატონ ეთერს უხარია, რომ მის სტატიებსა და ინტერვიუებს დიდი რეზონანსი ჰქონდა. მართალია, მას გაზეთის სტამბაში გასაშვებად ხშირად ღამეების თენება უწევდა, მაგრამ საქმისადმი ერთგულების გამო არასდროს დაუწუწუნია.

,,დღეს გენდერული პრობლემა წინა პლანზე წამოვიდა. არადემოკრატიული გარემო და ხელისუფლება ზღუდავს ქალს საზოგადოებრივ სარბიელზე. საჭიროა დიდი ძალისხმევა, რომ ეს ზღუდე გადალახო. ამას ოჯახური რუტინაც ემატება. ჩვენი საზოგადოება თვლის, რომ ქალი უპირატესად დედა და დიასახლისია, რაც უსამართლობამდე მიდის", - თვლის ეთერ ჩხაიძე.

მისი აზრით, საქართველოს ხანდაზმულების პრობლემაა დაბალი პენსიები, ყოველგვარი სტაჟისა და დამსახურების იგნორირება. „ხანდაზმულობამ ყველაზე მწვავე პრობლემად საზოგადოებისაგან გათიშულობა მომიტანა, აქტიური ცხოვრებით ვცხოვრობდი, მიყვარს საზოგადოებასთან ურთიერთობა" - ამბობს ქალბატონი ეთერი

,,ხანდაზმულთა რესურს ცენტრი ერთადერთი გაბედული ნაბიჯია ასაკოვან ადამიანთა მიყრუებული, ჩაკეტილი ცხოვრებიდან საზოგადოებაში რამდენადმე დასაბრუნებლად. ორგანიზაცია ცდილობს ხანდაზმულები ხალისიანი, შინაარსიანი ცხოვრების ფერხულში ჩააბან. აქ ტარდება სწავლებები, შემოქმედებითი შეხვედრები, ექსკურსიები. ამ პროექტმა მეორე სიცოცხლე მოგვცა".

ახალგაზრდებს ვეტყოდი: იარე შენი გზით და დაე, ადამიანებმა რაც უნდათ ის თქვან.

Eter Chkhaidze, 83, Kobuleti

Eter Chkhaidze was born in Ozurgeti, in 1931. She graduated from the Faculty of Philosophy at Tbilisi State University. She later worked at the local newspaper in Kobuleti; from 1964, she was the secretary responsible for the same newspaper. Later, she was the editor-in-chief of the newspaper 'Adjara P.S'. She has three children.

She believes that the journalism profession allows you to meet many people with a variety of interests, fates and views. These meetings often leave an unforgettable impression. Mrs. Eteri is glad that her articles and interviews had great resonance. Although she worked all day and night to publish her articles she never complained about it.

"The gender issue is very real today. An undemocratic environment and government limits a woman's public activities. Great efforts are needed to overcome such limits. Demands of the family routine are added to all of this. Our society believes that women are mostly mothers and housewives, which leads to injustice," says Mrs. Eteri.

She thinks that the problem of elderly people in Georgia is low pensions, ignoring any length of work service and merit. "Old age is a severe problem, isolation from society. I lived an active life and I love public relations."

"The Elderly Resource Centre provides an important step for isolated elderly people in the community to return to life. The organization tries to engage them in meaningful activities, such as training, events and sharing advice. This project has given us a second life."